# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №13
## 2015 წლის 30 აპრილი

## ქ. ხობი

**„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №32 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი (www.matsne.gov.ge), 29.08.2014 წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016131) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დანართში:

ა) გამგებლის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 1500 ლარით;

ბ) გამგებლის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 1400 ლარით;

გ) გამგეობის სამსახურის უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 1100 ლარით;

დ) საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 1100 ლარით;

ე) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 870 ლარით;

ვ) გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 850 ლარით;

ზ) საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 850 ლარით;

თ) გამგებლის თანაშემწის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 820 ლარით;

ი) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 820 ლარით;

კ) მთავარი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 620 ლარით;

ლ) წამყვანი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 570 ლარით;

მ) უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 540 ლარით.

ნ) სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 510 ლარით;

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 მაისიდან.

**ხობის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **ედიშერ ჯობავა**